სახალხო გაზეთი

№ 287 სამშაბათი, 26 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 287

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ!!

მოვაგონებთ ჩვენ ხელის-მომწერთ, რომ 1 მაისიდან, ვისაც ხვედრი ფული შემოტანილი არ ექნება, **გაზეთი აღარ მიუვა.**

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

„სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას 23 აპრილს პირველი ძვირფასის მეუღლისას, მეორენი—დედისას

ანტიოფ ნიკოლოზის ასულისას.

დაკრძალვა დაბა სურამში 26 აპრილს. (1—569—1)

გარდაიცვალა 23 აპრილს ქ. ოზურგეთში

ვლადიმერ იესეს ძე თოთიბაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი გარდაცვალებულისა **ნადეჟდა**, მისი და **მაშნე**, ძმები **კვირიკე** და **ისიდ**, ბიძები **მანასე** და დეკანოზი **ანტონ თოთიბაძენი**. დასაფლავება 26 აპრილს ღვთის-მშობლის ეკლესიის გალავანში. (1—568—1)

ეკატერინე ალექსანდრეს ასული კრიველცკისა, სოფიო ათანასეს ასული და ალექსანდრე ივანეს ძე, ანასტასია ნიკოლოზის ასული და ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილები, ალექსანდრა ალექსანდრეს ასული და დიმიტრი მიხეილის ძე რჩეულიშვილები აუწყებენ, რომ 14 აპრილს პეტერბურგში გარდაცვალებულ პირველის საყვარელის ქმრის, დანარჩენთა ძვირფასის სიძის, ხოლო უკანასკნელის ქვისლის 174 რომნის პოლკის პოლკოვნიკის

ალექსანდრე მიხეილის ძის კრივეცკის

ცხედარი, დღეს 26 აპრილს, დილის 9½ საათზე რკინის გზის სადგურიდან ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში (ნიკოლოზის ქუჩა) იქმნება მისვენებული. წირვის და ანდერძის აგების შემდეგ დასაფლავებულ იქმნება კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (1—571—1)

ამ წლის 25 მარტიდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი

„კოლხიდა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორამის სახლი. ხელ-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე 5 მან. და 10 შაური. თვიური—ოთხი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქ. 15 კ., უკანასკნელზე—10 კ სამგლოვიარო განცხადება 3 მ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზ. „კოლხიდა“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდი, საღამოთი 5-დან 7-დი.

(10—6)

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ხუთშ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

თრემბოვეცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

ხობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუსკივაძე ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცკონსულტაცი, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089—450)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

არჩილ ჯორჯაძისა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო“. ფასი 75 კაპ.

Bâton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.

გ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

ზუბალაშვილების სახალხო სახლი

პარასკევს, 29 აპრილს, სახალხო მუსიკალური საზოგადოება თავის ლოტბარის **პ. პ. ფალიაშვილის საბენეფისოდ** სდგამს ოპერას

კარმენს

მონაწილეობენ: ქ-ნნი პახომოვა, მინკევიჩი; ბ-ნნი: ავალოვი, კოვალსკი, ბროდეკი და სხვა. ბილეთების ფასი 5—80 კ. დასაწყისი საღ. 8 ს.

ლოტბარი **პ. პ. ფალიაშვილი.** ადმინისტრატორი **ი. დოლიძე.**

ა ნ ო ნ ს ი: 6 მაისს ავალოვის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ოპერა—„**ფაუსტი**“ და „**ტრავიატა**“. ბილეთები იყიდება. (3—1170—1)

გამოვიდა და იყიდება საყმაწვილო სურათებიანი მოთხრობები ივანე ელიაშვილისა „სამშობლო ბუნების სარკე“

ტფილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. ფასი 30 კაპ. (თგ.—1224—7)

ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერიო კურსები გ. გ. გიგინეიშვილისა.

კურსებზე სწავლა დაიწყება ამა წლის 18 აპრილიდან და გაგრძელდება ათ თვეს. სავალდებულო საგნებია: 1. ბუხგალტერია (უბრალო, იტალიური, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. კალიგრაფია, სწორი წერა. (ხელის გასწორება).

კურსებზე მიიღებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსის დასრულების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

(10—1215—6) კურსების დირექტორი **გ. გიგინეიშვილი.**

საბურთალოზე მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 სა: ამდინ. (წ.—1147—33)

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით. (წო —1090 —46)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—93)

კბილისა

ექიმი ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—54)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაჯაშვილისა. (უ)

ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეის ქუჩების კუთხე N 24. 0—45

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—104)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

მლისაშვილის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—53)

ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას **606** პრეპარატით ერლის ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ელექტრისა და საყმაწვილოსა სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ე.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შეკრულებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრუვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—46)

კბილისა

ექიმი ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. ოქმაძლოვისა ქ. N2.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ჯირონინის ქ., № 9. (ო)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრესს, ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ხუდოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხატარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ. დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (100—6.—83)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა უდიდეს ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—15)

ტფილისი, 26 აპრილი

გზა მშვიდობისა! წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებები დასრულდა. არჩეულ იქმნა ახალი გამგეობა, რომელსაც საზოგადო კრებამ ბევრი რამ დააკისრა. ამასთანავე ერთად დასახა გეგმა იმ მოქმედებისა, რომელსაც უნდა დაადგეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ახალი გამგეობა. მართალია განსაზღვრული რეზოლუციები კრებას არ გამოუტანია, მაგრამ სურვილები კრების ნათლად გამოისახა, და ახალი გამგეობაც, თქმა არ უნდა, ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრობა ამ სურვილებს. ნათლად გამოისახა, მაგალითად, ის სურვილი, რომ შემდეგს საგანგებო კრებისთვის გამგეობამ წარმოადგინოს თავისი მოსაზრება საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ. გამოითქვა სურვილი წიგნების გამომცემლობის გაძლიერებისა. ყველაზე საყურადღებოდ კი უნდა ჩაითვალოს ის სურვილი, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უმთავრესი ყურადღება მიაქციოს თავის პირდაპირს დანიშნულებას—სახალხო განათლებას. ეს უკვე ნათლად გამოსახული დირექტივებია, რომლებითაც ახალი გამგეობა უეჭველია იხელმძღვანელებს მომავალში მოქმედების დროს.

ახალ გამგეობას წინ დიდი სამუშაო უდევს. უჩინარია ეს სამუშაო; მისი ნაყოფი ერთბაშად ვერ გამოჩნდება, მაგრამ განსაზღვრულ კვალს კი მაინც დაამჩნევს ჩვენს ცხოვრებაში. ეს სამუშაო დიდს ენერგიასა თხოულობს, და ჩვენც ვუსურვებთ გამგეობას, რომ ეს ენერგია გამოიჩინოს. გზა მშვიდობისა!..

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დიდუბის ეკლესიის გამო გაზეთი „ზაკავკაზიე“ სწერს:

„მგონია დროა, ბოლო მოეღოს იმ ცხარე კამათს, რომელიც დიდუბის ეკლესიის გარშემო ტრიალებს. საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, ახალს ვერაფერს ვიტყვით. ჩვენ კვლავ გამოვსთქვამთ იმედს, რომ სასულიერო უწყება გადასწყვიტავს ამ საკითხს სამართლიანად და არ იხელმძღვანელებს იმ ანტიქრისტიანულ გრძნობებითა და მოსაზრებებით, რომლებითაც გაჟღენთილია „გოლოს კავკაზა“-ს წერილები“.

„ზაკავკაზიე“ მაინც იმედს არა ჰკარგავს. ჩვენ კი პასუხად ვეტყვით იმას, რასაც ჩვეულებრივად ამბობს ხოლმე ამისთანა შემთხვევებში ქართველი გლეხი: „აღდგომა—და ხვალეო“.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **მუხრანის ხიდის კურთხევა.** 24 აპრილს ქალაქში დილითვე მშვენიერი ამინდი იყო. ამიტომ მუხრანის ხიდს, რომელიც ამ დღეს უნდა ეკურთხებინათ, ორთავე მხარეს დიდძალი ხალხი მიაწყდა. ხალხს ახლოს მხოლოდ ბილეთებით უშვებდნენ. ქალაქის თვით-მმართველობის წარმომადგენელნი ა. ი. ხატისოვის მეთაურობით და ხელოსანთა ამქრები ზურნით 12 საათზე მოვიდნენ. 2 საათზე ავტომობილით მოვიდა ნამესტნიკის მეუღლე. მოვიდნენ აგრეთვე ქალაქის სამღვდელოება, ნამესტნიკის თანაშემწენი და სხვა მოწვეული პირნი. ეგზარხოსმა სამღვდელოების კრებულით პარაკლისი გადაიხადა, რომლის შემდეგაც დღესასწაულის შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს ა. ი. ხატისოვმა და ინჟინერმა ენფიანჯიანცმა, რომელმაც ეს ხიდი ააშენა. ნამესტნიკის მეუღლე იმ ლენტთან მივიდა, რომლითაც ხიდი გადაღობილი იყო. ა. ხატისოვმა მას სინით მაკრატელი მიართვა და გრაფინიამ ლენტი გასჭრა, რის შემდეგაც ა. ხატისოვთან ხელ-ჩაკიდებული ხიდის მეორე მხარეს, რიყის ქუჩაზე გავიდა და ისევ უკან დაბრუნდა. ამის შემდეგ ნამესტნიკის მეუღლე ა. ხატისოვთან ერთად ხიდზე ავტომობილით გაიარა. ხალხს ხიდის სურათები (ღია წერილები) დაურიგდათ. საღამოს ხიდი საუცხოვოდ იყო გაჩირაღდნებული და ზედ აუარებელი ცნობის მოყვარე დაიარებოდა.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა **ჯამაგირები** მოუმატა **კავკასიის საბრეშუმო სადგურის** ყველა მოსამსახურეს. საერთო ხარჯი, ჯამაგირების მომატებით გამოწვეული, 4,980 მანეთს უდრის.

◆ **სათავად-აზნაურო ბანკის** კანცელარიის გამგედ გ. მ. ლასხიშვილის მაგივრად მ. პ. სარაჯიშვილი იქმნა მიწვეული.

„ჯეჯილი“. გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ სააღდგომო ნომერი, რომელიც საინტერესოდ არის შედგენილი.

ახალი წიგნი. იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად ქართულს ენაზე: **„ტატო წულუკიძე“**, ისტორია ყაჩაღობისა კავკასიაში. ა. ს. **ფრენკელისა.**

კავკავი. როგორც დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, **23** აპრილს ღამის **3** საათზე 12 შეიარაღებული ინგუში **თავს დაესხა** პოლიციელებს და სტრაჟნიკებს, იარაღი აჰყარეს, დასჭრეს და შემდეგ განჯუმიოვის მაღაზიის გაძარცვა მოინდომეს, მაგრამ ატეხილმა ხმაურობამ ხელი შეუშალა.

ფრენა. 24 აპრილს, საღამოს 6 საათსა და 58 წამს „ოლიმპია“-ს ბაღიდან (მიხეილის ქუჩა) სფეროთი აფრინდა მფრინავი ი. ვ. დრევნიცკი, რომელმაც ჰაერში 2 წამს დაჰყო, ავიდა 200—300 მეტრის სიმაღლეზე და უვნებლად დაეშვა დაბლა.

გუშინწინ გადასახლებულთა შვილების თავშესაფარი აკურთხეს. კურთხევას დაესწრნენ: ნამესტნიკის მეუღლე, ვატაცი, გენ. შატილოვი და სხვა.

როგორც გაზ. „კასპის“ შეუტყვია, ნიკოლაევის ციხეში დაპატიმრებული **მეორე სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი მახარაძე** მძიმედ გამხდარა ავად ნერვების მოშლით.

ტრამვაის ახალი ლიანდაგი. საზოგადოების დირექცია გუშინ შეუდგა ახალი ლიანდაგის რელსების დალაგებას. ლიანდაგს რიყის ქუჩიდან მუხრანის ხიდით და ქუჩით ერევნის მოედნამდე ამოიყვანენ. ამ ლიანდაგზე მოძრაობა ივნისის პირველ რიცხვებში დაიწყება. ვაგონები ერევნის მოედნიდან პირდაპირ ქალაქის სალახანამდე ივლის.

ქალაქში ხუნაგი მძვინვარებს. ავადმყოფთა რიცხვი თანდათან მატულობს.

ტფილისის საგუბერნიო და სამაზრო სამხედრო საკრებულო უკვე შეუდგა გამოსაწვევ ახლად გასაყვან ჯარის კაცების სიის შემოწმებას.

24 აპრილს საჯირითო მოედანზე კინადამ უბედურება არ დატრიალდა. ბ. ქობულოვის ცხენი „კაკადური“, როდესაც მიუახლოვდა ტრიბუნებს, უეცრად წრეს გადასცდა და გადატრიალდა, ქვეშ მხედარი მოიყოლია და დაასმა. გულშეღონებული მხედარი ძლივს მოაბრუნეს და საავადმყოფოში გაგზავნეს.

ქალაქის გამგეობასთან არსებული საქიმიო სანიტარული ბიუროს ცნობებით 11 აპრილიდან 20 აპრილამდე ტფილისის ქალაქის საავადმყოფოში 11 აპრილისათვის იყო: 122 ავადმყოფი; ათი დღის განმავლობაში ახლად ჩაწერილან—59, გაეწერა—52, გარდაიცვალა—8. 21 აპრილისათვის დარჩა 121 ავადმყოფი.

ბარაკებში 11 აპრილს იყო: ქუნთრუშით—9, ახლად ჩაეწერა—4, გაეწერა—3, დარჩა—10. დიდით იყო—5., ახ. ჩაეწ.—15., გარკად გახდა—7, გარდაიცვალა 2, დარჩა—11. სახადით იყო—6, ჩაეწ.—2, გარკ. გახდა 2, დარჩა—6. ყვავილით იყო 2., ჩაეწ.—2. დარჩა—2. წითელი ქარით ჩაეწერა—1, გამოკვე.—1 სულ გადამდები სენით 11 აპრილს იყო—22, ათი დღის განმავლობაში მიემატა—22, ძველთაგან გარკად გახდა—12, გარდაიცვალა 3. 21 აპრილს დარჩა—29.

ტფილისში შეიპყრეს: 23 აპრილს—14 უპასპორტო, ხოლო 24 აპრილს—20 უპასპორტო.

24 აპრილს ნიკოლოზის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მდედრობითი სქესისა, და ხლოვებით ერთის თვისა, ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

ჯარიმა. გუბერნატორმა 16 მანეთით დააჯარიმა ევგ. ყვანია საადრესო სტოლის წესების დარღვევისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის 7 დღით დააპატიმრებენ.

საზოგადოებანი და კრებანი

ახალი ამხანაგობა. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ტფილისში დაარსებულა ახალი სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს ქვის ხიდი გააკეთოს მტკვარზე, მუშტაიდის ზემოდ, „გოლდლიუსტ“-ის ქარხნის ახლოს. წინასწარ გამოანგარიშებით, ამ საქმეს 250,000 მან. დასჭირდება. ამხანაგობას უკვე დასტური მიუღია ყველა სამინისტროსაგან გარდა სამხედროსი, რომელსაც აღუნიშნავს, ამ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრად ყოფნა სამხედრო პირთ არ შეუძლიათ, როგორც ეს ამხანაგობას განუზრახავსო.

ქართული კლუბი. 23 აპრილს, დღისით, სამეურნეო ბანკის დარბაზში გ. ზ. გვაზავას თავმჯდომარეობით ქართულის კლუბის წევრთა საერთო კრება მოჰხდა, რომელსაც სულ 15-16 წევრი დაესწრო; ამათში იყო მხოლოდ ერთი მამასახლისი, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ის უნუგეშო მდგომარეობა, როგორშიაც იმყოფება ამ კლუბის გახსნის საკითხი. მისის სიტყვებიდან გამოირკვა, რომ სულ საწევრო ფული მოგროვილი ყოფილა 1300 მან. აქედან დახარჯულა 500 მანეთი. **ვლ. ელიავამ** განაცხადა: მე დიდი მომხრე ვიყავი და ახლაცა ვარ კლუბის გახსნისა, მაგრამ რადგან დღემდე ამ საკითხმა ოდნავაც არ წაიწია წინ და არც იმედია, რომ საქმე ან მომავალში დაგვირგვინდეს სასურველად, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ამ საქმეს ლიკვიდაცია ვუყოთ და შემოსული ფული შემომტანთ უკან დაუბრუნოთო. ამის შემდეგ კრებამ ბევრი იმსჯელა, მაგრამ რაიმე გარკვეულ აზრს ვერ დაადგა. ამიტომ დაადგინა, ახლო მომავალში ხელ-ახლა მოიწვიოს საზოგადო კრება.

1910 წლის პირველ იანვრიდან დღემდე ქარ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების წევრად 168 კაცი ჩაწერილა.

24 აპრილს სახალხო სახლში სახალხო უნივერსიტეტის წევრთა საზოგადო კრება მოხდა. კრებაზე ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია ამოირჩია. გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ რცხილაძე, მიკირტუმოვი, პალმოვი, ჯიოევი, გელეიშვილი, ბებურიშვილი, ნ. არღუთინსკი მხარგძელი, როხლინისა, ქარცივაძე, კატანიანცი, მესხიშვილი, ჰელიძე, ზარათაშვილი და დიასამიძე. სარევიზიო კომისიაში კი— ევანგულოვი, სარქისოვი და კახელიძე.

ოთხშაბათს, 27 აპრილს, საღამოს 8 საათზე კანცელარიის შენობაში შესდგება საერთო კრება რუსეთის გეოგრაფიულ-ისტორიულ საზოგადოების ტფილისის განყოფილებისა. კრებაზე ბელგიის კონგოს ფლოტის კაპიტანი ზ. ი. სიკეტინი ბელგიის კონგოს შესახებ მოხსენებას წაიკითხავს. კრებაზე შესვლა ყველას შეუძლია.

მეშჩანების არჩევნები. 24 აპრილს მეორე რაიონის (4, 5, 6 საპ. უბნები) რწმუნებულთა არჩევნები მოხდა. კენჭი 35 კაცმა იყარა. არჩეულ იქმნა: არაქელიანცი, გალუსტიანცი, სათახაზოვი, ვარძიგულოვი, ნარიმანოვი, გოზალოვი, მირზოევი, ადამიძე, მდივანი, შაუმოვი, მაშადიადიკულიევი, მაილოვი, აშურბაბაიანი, ოტიანცი, ქამშაშევი, შახვალდოვი, აგზიევი, ბაჯაგოვი, აგგიევი, იარალოვი, ახნაზაროვი, ხოსროევი, დერუგოვი, ჩომიშვიანი, ნაგასარდიანი, ტერ-სტეფანოვი, ბედსკი, არუთინოვი, შტიპელი.

მესამე რაიონის (მე 7, 8 და 6 საპ. უბნები) არჩევნები 1 მაისისათვის დანიშნულია.

სასწავლებლებში.

ა. ი. მანთაშევის გარდაცვალების გამო 24 აპრილს კრება ჰქონდა ტფ. საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს, რომელმაც დაადგინა, 26 აპრილს, შუადღისას, სასწავლებელში პანაშვიდი გადაიხადოს განსვენებულის სულის მოსახსენებლად და აგრეთვე გვირგვინით შეამკოს მისი კუბო.

ტფილისის სასწავლებლებში სწავლა 20 მაისამდე გაგრძელდება 20 აპრილს დაიწყება კლასებში გადასასვლელი გამოცდები.

23 აპრილს საღამოს მატარებლით პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა სამხატვრო სასწავლებლის მოწაფეთა ექსკურსია შმერლინგის მეთაურობით.

24 აპრილს ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში სპორტიული საღამო გაიმართა.

24 აპრილს ექიმმა ა. ტ. სნარსკიმ ვისენტიე ბლასკო იბანიესის შემოქმედების შესახებ ქალთა პირველ გიმნაზიაში ლექცია წაიკითხა. გაარჩია მისი ნაწარმოებნი და მსოფლ-მხედველობა.

კავკასიის რკინის გზაზე

გუშინ წინ ბათომიდან სარკინისგზო საგარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის კომისია დაბრუნდა. ამ დღეებში კომისია კავკ. რკინის გზის უფროსის თანაშემწის ზურაბოვის მეთაურობით მიემგზავრება ყარსის რკინის გზის მომავალი წლის საგარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის გამოსაკვლევად.

რკინის გზის ლიანდაგზე, იქ, სადაც სომეხთა სასულიერო სემინარიის ახალ შენობას აგებენ, მატარებელმა შუაზე გასწვეტა უცნობი კაცი, 25—26 წლისა, რომელსაც ტელეგრაფისტის ფორმა ეცვა. გვამი სარკინისგზო სამკურნალოში გაგზავნეს.

ნავთლუღში, 24 აპრილს ღამის 3 საათზე 292 ვერსზე მარტო ორთქმავალი № 521, დარაჯს სიმოს სტეფანეს ძე მაჩურინს დაეწია და გასრისა. მოკლულს დარჩა ცოლი და ორი პატარა ბავშვი.

აქსტაფაში 24 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე მიმავალ მატარებლიდან № 107-დან ჩამოხტა სოფ. (ყაზახის მაზრა) მცხოვრები ზეინალ მოლა უსუპ ოღლი, მაგრამ ვაგონებმა ქვეშ მოიყოლა და ორივე ფეხი მოაწყვიტა: დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

24 აპრილს საღამოს 11 საათზე მატარებელი № 106 სადგურს უახლოვდებოდა, ისრებთან ლიანდაგზე გორის სამხედრო საზგრო სამმართველოს საქმის მწარმოებელი თავადი ლევან სოლომონის ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი მიდიოდა; მატარებელს ვერ გადაუსწრია და ქვეშ მოჰყვა. მატარებელმა მას ორივე ფეხი მოსწყვიტა და თავი დაუშავა. დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს.

ქუთაისი

სახალხო სკოლების დირექტორმა იმერეთის ეპისკოპოზს აცნობა, რომ პირველ-დაწყებით სკოლებში **საღვთო სჯულის სწავლება ქართულს ენაზე** უნდა იყოსო. ეს ამბავი აცნობეთ საღვთო სჯულის ყველა მასწავლებელთა. არქიელმა ამის თაობაზე მოწერილობა დაგზავნა...

შარშან ქუთაისის საბჭოს დადგენილებით, რაც ბ-ნმა გუბერნატორმაც დაამტკიცა, გადასწყდა, რომ **მაღაზიები გაღებულიყო** დილის 8 საათზე და საღამოს 7 საათზე დაკეტილიყო. მას შემდეგ, ალახმა უწყის, თუ სად გაჰქრა ეს გადაწყვეტილება; დღეს გეგონებათ მაღაზიების გაღება-დაკეტვაში „ხაზეინები“ ერთი-მეორეს ეჯიბრებიანო:— აღებენ 6 საათზე და ხურავენ 9—10 საათზე. ნოქრები იჩაგრებიან.

ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში წერითი გამოცდა უფროს კლასებში 28 აპრილიდან იწყება.

მოკლე ხანში ქუთაისს ჩამოვა **საქართველოს ეგზარხოსი** იმერეთის ეპარქიის სხვა და სხვა ეკლესიის დასავლელად.

იმერეთის საეპარქიო საბჭოს განკარგულება მოუხდენია, სოფლად **სამრევლო სკოლებში** სწავლა ივნისის უკანასკნელ რიცხვებამდე გაგრძელდეს, რადგან დიდი ზამთრის გამო ბევრგან სწავლის მიმდინარეობა შეფერხებული იყო.

როგორც გავიგეთ, **ქუთაისის ქალაქის მოურავს** დაუვალებია ქალაქის სამსახურში მყოფ ექიმებისათვის, რომ შეადგინონ ვრცელი მოხსენება ხოლერასთან და ჭირიან ბრძოლის შესახებ ტფილისში განზრახულ ქალაქების მოღვაწეთა კრებაზე წასაკითხად.

ქალაქის მოურავი ბ. ი. ჩიქოვანი, ენერგიულ ზომებს იღებს **ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის** გაუმჯობესებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ებრაელების უბანსა აქვს მიქცეული. ეს უბანი უსუფთაობისა და ყოველგვარ ავადმყოფობის ბუდეს წარმოადგენს. მესამე დღეა, ბ. ჩიქოვანი სასანიტარო ექიმისა და სანიტარების თანადასწრებით დადის და ათვალიერებს ეზოებს, სასტუმროებს და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ. როგორც გავიგეთ, დიდი უსუფთაობა პირველ ხარისხოვან სასტუმროებშიაც კი აღმოუჩენიათ.

მესამე დღეა, რაც ქუთაისში ნამდვილი **შუა ზაფხულის სიცხეა.**

ჩვენი ახალგაზდა პოეტები და იმპრესიონული მეთოდი

„Влага только на мгновеніе
можетъ къ лотосу прильнуть“...
К. Бальмонтъ.

არა ერთხელ თქმულა, რომ ცხოვრებასთან ერთად ლიტერატურაც წინ მიიწევს, რადგანაც უკანასკნელი მისი პირმშო შვილია, მისი სარკე; იცვლის ცხოვრება ფორმას, სახეს და ამის დამიხედვით იცვლება მისი გამოხატულება სარკეშიაც.

სჩანს—ლიტერატურა ის ბორბალია, რომელიც ცხოვრების ღერძზე ტრიალებს. მკითხველი უეჭველია დამკვირვებია ღერძის ტრიალს. ვსთქვათ, ბორბალი, რომელზედაც გამოხატულია სხვა და სხვა ფერი რგოლები, სანამ ნელა ბრუნავს, თქვენ მხედველობას არ ეპარება არც ერთი რგოლი, არც ერთი ხაზი; მაგრამ დატრიალდა უფრო ჩქარა ღერძი და მასთან ერთად ბორბალიც; ერთი ხასიათის საღებავს სცვლის მეორე, მეორეს—მესამე და ამრიგად, რაც უფრო ჩქარა ბრუნავს ღერძი, მით უფრო ჩქარია ამ ფერების ცვლა.

ადამიანი შეძლების დაგვარად ყოველივე ღონეს ხმარობს—გაარჩიოს ბორბლის მრავალფეროვანობა, მიუხედავად ჩქარი ბრუნვისა, მაგრამ მხედველობა ღალატობს, ის ვერ ითვისებს ამგვარ სისწრაფეს.

საგანი, რომელიც რამოდენიმე ხნის წინ მთელის დეტალებით ეხატებოდა, ეხლაც წინ უდგას, ეხლაც თითოეული წერტილი ამ საგნისა მას ესვრის სხივებს თვალებში, მაგრამ მრავალგვარი ფერი სხივებისა ისეთის სისწრაფით სცვლიან ერთმანეთს, რომ ნერვები, რომლებიც გაბმულია თვალებიდან ადამიანის ტვინის იმ ნაწილამდე, სადაც მდებარეობს მხედველობის ცენტრი, სწორედ ეს ნერვები, საკმაო ძალით ვერ გადასცემენ ცენტრს იმ ეფექტს, რომელსაც მასზედ ახდენს სხვა და სხვა გვარი სხივები.

აქედან ცხადია, რომ ცენტრში შთაბეჭდილება სხვა და სხვა ფერებისა მეტად სუსტია, და რადგანაც ეს ფერთა ცვლა შეუწყვეტელია, ცენტრი ვერ ასწრობს გააღრმაოს შთაბეჭდილება ერთი რომელიმე სხივისა, იგი უცებ გადადის მეორეზე მესამეზე, მეათეზე და მეასეზე; ისე რომ ვერ ასწრობს მათ განსაზღვრას, ვერ ახერხებს გაარჩიოს, სად იწყება პირველი, მეორე და სად იდება მათ შორის საზღვარი. მას ერევა სხივების ფოკუსები. საშინელის სისწრაფით მბრუნავ ბორბლის სხვა და სხვა ფერებს ჩვენ ვერ ვარჩევთ და ერთმანეთში არეული ერთად მიგვაჩნია; ეს ერთი ფერი უმთავრესად მოთეთრო, ანუ რუხი.

ცხოვრების სვლაც ამ ღერძის ბრუნვას წააგავს. იყო დრო, როდესაც ეს ბორბალი ნელა ბრუნავდა, როდესაც ცხოვრება ნელის ნაბიჯით მიიწევდა წინ. იმ დროის მხატვარისათვის ძნელი არ იყო ცხოვრების სურათის გადმოცემა, იგი არ ჩქარობდა, მას დინჯად გამოჰყავდა თითოეული წვრილმანი, და სურათიც მთლიანს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე.

ასეთი იყვნენ იმ დროის მწერლები.

დრო გადიოდა და ცხოვრებაც თავის გზაზე ფეხს უჩქარებდა. ერთი კულტურა კვდება, მეორე ვითარდება, ერთი ერი კვდება, მას მეორე სცვლის, ერთგვარი ფორმა საზოგადოებრივ დიფერენციაციისა იცვლება მეორეთი. თუ წინად ვეებერთელა მანძილზე ორიოდე ადამიანს ძლივს შეჰხვდებოდით, რომლებიც თავიანთი კულტურით და ეკონომიურ მდგომარეობით ერთ დონეზე იდგა, დღეს იმავე მანძილზე ქალაქია გაშენებული, მრავალ სართულიანი სახლები, ქარხნები, ბაღები და სხვა. კულტურას მრავალფეროვანება დაეტყო.

მაყურებელი ვერ ასწრებს მათ სათითაოდ დაუკვირდეს, გაარჩიოს მათი დამახასიათებელი გარეგნული თვისებანი მაინც, შეისწავლოს ზნე-ჩვეულებანი, ყველა ეს თხოულობს ხანგრძლივ დაკვირვებას და შესწავლას. მას კი არა აქვს ამისი უნარი, საშუალება, ამიტომ იგი იძულებულია დაკმაყოფილდეს პირველის შეხედვით, პირველის შთაბეჭდილებით (L'impression).

დღევანდელ ცხოვრებასაც ჰყავს თავისი მწერლები, რომლებიც ცდილობენ მოგვცენ მისი ნამდვილი სურათი, მაგრამ ცხოვრება მათ როდი დაუცდის, როდი შეაჩერებს თავის ღერძს და მიმართავს მათ: „ჰა, მოდით გადაიღეთ სურათი“-ო; ამიტომ ესენიც მხოლოდ შთაბეჭდილებით კმაყოფილდებიან, ღრმა ანალიზი კარგა ხანია რაც დაივიწყებას მისცეს და ცდილობენ ჩვენც ამით დაგვაკმაყოფილონ. უმთავრესად ასეთის ჩქარის ტემპით სვლა ცხოვრებამ დაიწყო უკანასკნელ ხანებში, როცა კაპიტალიზმა თავისი ძლიერი ფესვი გაიდგა. სწორედ ამავე დროს ჩნდებიან ეს ახალი ჯურის მწერლებიც. ეს ახალი სკოლა საფრანგეთში დაიბადა, აქ განვითარდა და გაძლიერდა. აქედან იგი თანდათან მოედო მთელ მსოფლიოს: ამ სკოლის მწერლებს ეწოდათ იმპრესიონისტები. ეს სიტყვა აი საიდან წარმოსდგა.

საფრანგეთის გამოჩენილმა მხატვარმა ებერმა გამოაფინა სურათი, რომელმაც ყველანი განცვიფრებაში მოიყვანა. ეს სურათი გამოჰხატავდა მზის ჩასვენებას; მხატვარ-რეალისტების ნაწარმოებთა შეჩვეულს საზოგადოებას სრულებით არ მოეწონა ეს რაღაც გაუგებარი და ახალი ხელოვნებაში: მიწა, ზღვა, მზე, მცენარეები და ყოველი სხვა და სხვა გვარი საგნის ფერები მეტად არეული იყო ერთმანეთში, საზოგადოდ კი სურათი მკრთალი და უსახო იყო. მაშინვე გამოჩნდნენ კრიტიკოსები, რომლებმაც დაჰგმეს ამგვარი მიმართულება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი გამოჩნდა მისი მიმდევარი და რამდენიმე წლის შემდეგ საუკეთესო მხატვრები ითვისებენ ამ ახალ მეთოდს; თუმცა ეს სურათები ნაკლებად იყიდებოდა, მაგრამ მხატვრებს ეს არ აშინებდა, რადგან ამას საზოგადოების გემოვნების განუვითარებლობას აწერდნენ.

ბოლოს იმპრესიონისტებმა მოითხოვეს, მიეცათ მათთვის პარიზის სალონში სურათების გამოფენის ნება; როცა ამაზედ უარი მიიღეს, მათ ცალკე დანიშნეს გამოფენა და მთელი საზოგადოების ყურადღებაც მიიქციეს; ამ ხანებში საუკეთესო თეორეტიკებიც გამოუჩნდა ამ ახალ მიმართულებას, და კრიტიკაც უფრო ლმობიერად ეკიდება. იქვე არ იყო, რომ ამ ახალმა მიმართულებამ გაიმარჯვა და ბოლოს სალონშიაც საუკეთესო ადგილი დაუთმეს მათ.

ასეთია იმპრესიონიზმის წარმოშობის მოკლე ისტორია.

რაც შეეხება სახელს—„იმპრესიონიზმი“, რომლითაც მონათლეს ახალი მიმართულება, ის წარმოსდგა ამ ხასიათის პირველი სურათის სახელწოდებიდან (მზის ჩასვლა—„შთაბეჭდილება“), რადგანაც ეს სურათი დეტალების დაცვას კი არ მისდევდა, არამედ სცდილობდა გადმოეცა მხოლოდ ის შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს მაყურებელზე მზის ჩასვლა.

აი, აქედან დაიბადა ეს სახელიც: „L'impression“ (შთაბეჭდილება).

როგორც წეღან ვსთქვი, ეს მიმართულება ყველა ერის ლიტერატურაში გაძლიერდა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, რამდენად მოიკიდა მან ფეხი საქართველოში და ვინ არის აქ მისი მიმდევარი და აქვს თუ არა ჩვენშიაც ნიადაგი ამ მიმართულებას.

დავიწყოთ უკანასკნელ კითხვიდან.

დღევანდელმა ახალგაზდობამ ბევრი სხვა და სხვა გვარი გრძნობები და ფიქრები განიცადა, იმიტომ რომ უკანასკნელი ათი წელი მეტად მდიდარი იყო სხვა და სხვა გვარ გამონაკლის ხასიათის მომენტებით. ამ ცოტა ხანში ჩვენ იმდენი რამ გამოვცადეთ, რაიც შეიძლება მომავალმა თაობამ მთელი საუკუნეშიაც-კი ვერ განიცადოს.

საშინელის სისწრაფით ერთი მოვლენა მეორეს სცვლის: გამარჯვებას დამარცხება, ერთი ხასიათის სულის კვეთებას მეორე, სიცილს—ტირილი და სხვა და სხვა. დაახლოვებით ასეთივე ეტაპები გაიარეს ჩვენმა პოეტებმა და ამისდა მიხედვით სწრაფად იცვლება მათი შემოქმედების ხასიათიც. ხან სინამდვილით აღშფოთებულნი და შეშინებულნი „ოცნების მხარეში“ შეტოპავენ ხოლმე, ხან „ფრთებ-გადამწვარნი, ეულნი, მწირნი“ ისევ მიწად უშვებიან. მრავალფეროვანი და დაუდგომელი შეიქმნა ჩვენი ახალი ცხოვრება და ამისდა მიხედვით თითოეული მისი მომენტი ღრმა, ძლიერ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს პოეტზე თავის ხანგრძლეობის და წარმავლობისა გამო, მაგრამ პოეტი მაინც არ სცხრება და სცდილობს „მომენტის გამოჭირვას“, ერთიდან ის უცებ მეორე აღწერაზე გადადის, მეორედან მესამეზე, მეათეზე და ასე... ნაკვთები, მხოლოდ ნაკვთები და მკრთალი სურათები. და საშინელის სისწრაფით ბრუნვისა გამო მხოლოდ წუთიერი შთაბეჭდილება რჩება თითოეულ მომენტიდან, თითოეულ სურათიდან.

ერთსახოვნობა და ერთფეროვნება აუტანელი ხდება ჩვენი ახალი მწერლებისათვის. ისინი სწერენ მოკლე-მოკლე ნაკვეთებით, შეკვეცილ წინადადებებით, პერიოდებს ძალიან ნაკლებად შეხვდებით. თითქმის ყოველ სამოთხ სტრიქონებს მოსდევს მრავალი წერტილი (...) რათა? იმიტომ, რომ პოეტს უჭირს დროს დაკარგვა, ის ერთს აზრს და ერთს წინადადებას ვერ ამთავრებს, ეშინია აზრების დაფანტვის, უეცრად სწყვეტს და მეორეზე გადადის. აი საზოგადო დახასიათება ჩვენი დღევანდელ ლიტერატურისა.

რაც შეეხება მის წარმომადგენლებს, ჩემის აზრით, ყურადღების ღირსია ახალგაზდა მწერალი შალვა დადიანი; სამწუხაროდ ძვირად ვხვდებით მის ნაწერებს, მაგრამ მიუხედავად ამისა თითოეული ამ ნაწარმოებთაგანი შესანიშნავად უნდა ჩაითვალოს. (იხ. „სამსონის ომები“, „მამა“ და სხვ.). უმთავრესად მისი მინიატიურები მეტად მდიდარია სუბუქი ენით, მშვენიერის შედარებებით. სამწუხაროდ არც მომეპოება არც ერთი ამ ნაწარმოებთაგანი, რომ შემეძლოს მკითხველს ნათლად დავანახო მათი დადებითი მხარეები. ბ-ნ დადიანთან მეტად ახლო სდგას მეორე, რომელიც ამავე ახალ სკოლას ეკუთვნის; ეს არის— ბ-ნი ნ. ლორთქიფანიძე. უკანასკნელიც უმთავრესად პატარ-პატარა ნაწყვეტებით სწერს, მაგრამ ამ ორიოდე სტრიქონში გაბნეულია სითბო, პოეზია და მშვენიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ამ რამდენიმე ხნის წინად ქუთაისის გუბერნატორს ყოვლად კეთილი აზრი მოსვლია ქუთაისის ციხის პატიმართათვის **პირველ-დაწყებით სკოლის დაარსებისა**, მაგრამ შენობისა გამო ეს აზრი ჯერაც სისრულეში არაა მიყვანილი.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

◆ **წვიმა და ნიაღვარი.** როგორც გავიგეთ: გორსა, გრაკალსა და მის მიდამოებში 25 აპრილს გათენებისას დიდი წვიმა ყოფილა, რასაც ნიაღვარი მოჰყოლია. სოფლები დიდად დაუზარალებია. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მოგვსვლია.

◆ 23 აპრილს ღამით კოჯორში გამოურკვეველ მიზეზების გამო ცეცხლი გაუჩნდა დავით კარჭელიშვილის საგარაკო შენობას. ცეცხლი მალე მისავე მეორე საგარაკო სახლზე გადავიდა და ორივე შენობა გაანადგურა. ზარალი 8000 მანეთს აღემატება. ადამიანთა უბედურება არა ყოფილა.

◆ ახალციხის ადგ. სც. მოყვარეებმა, სააღდგომოდ, 150 მან. 3-4 ხელმოკლე პირს გაუყვეს, ნაცვლად 40 და 50 ღატაკი ოჯახობისა, რომელთა წვრილშვილიც წითელ კვერცხსაც კი მოკლებული იყო. გასაყოფი დარჩენილა 35 მან.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ Წ.-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ.

23 აპრილი.

კრების გაგრძელება დაიწყო საღამოს 8 საათზე გენერალ გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით. კრებას ესწრებიან გამგეობის შემდეგი წევრი: დ. კარიჭაშვილი, ა. ყიფშიძე, ალ. მდივანი და ლ. ბოცვაძე.

უკანასკნელი კითხულობს წინა კრების ოქმს, რომელსაც კრება მცირე შენიშვნების შემდეგ ამტკიცებს.

ნ. ელიავა თხოულობს, კამათში მონაწილეობის ნება მიეცეს იმ პირთაც, რომელნიც ახლა აპირობენ წევრებად ჩაწერას.

გ. ნ. ყაზბეგი განმარტავს: ნება აქვთ, ხოლო გადამჭრელი ხმა კი არ ექმნებათო.

გამგეობის წევრი ა. ყიფშიძე კითხულობს გამგეობის მოხსენებას კრებისადმი, რომელშიაც აღნიშნულია გეგმა გამგეობის მომავალი მოქმედებისა და ის ზომები, რომელნიც მიღებულ უნდა იქმნას ამ გეგმის განსახორციელებლად.

მ. გედევანიშვილის წინადადებით ამ მოხსენებას მუხლობრივ კითხულობენ.

აი მოკლედ საზოგადოების მოხსენების შინაარსი:

„ვინაიდან გამგეობა გულწრფელი თანამოზიარეა იმ აზრისა, რომ საზოგადოება უნდა განახლდეს, ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ წარმოუდგინოთ საზოგადო კრებას, თუ რა გეგმით უნდა იხელმძღვანელოს მომავალში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

1) საზოგადოება ვალდებულია დაუბრუნდეს თვის პირვანდელ გეგმას და სასტიკად აასრულოს პირველი მუხლი წესდებისა, რომელიც გამოსახულია ასეთის ფორმულით: „პირველ-დაწყებითი სკოლა სამშობლო ენაზე სწავლებით.“

2) ეხლანდელ დილეტანტურ ანგარიშების მაგიერ უნდა შემოვიღოთ წესიერი ანგარიში იმ ფორმით, რა ფორმაც მიღებულია ყველა დაწესებულებაში; მოისპოს ანგარიშები იმ საქმეთა, რომელიც არ შეეფერება ჩვენის საზოგადოების გეგმას; გამარტივდეს და გასუფთავდეს ფულის ანგარიში, რომელიც ამ ჟამად მეტის-მეტად გართულდა და აიწეწდაიწეწა იმის წყალობით, რომ საზოგადოებამ ხელი მოჰკიდა სხვა და სხვა გარეშე საგანს და აგრეთვე იმიტომ, რომ გამგეობა საზოგადოებისა ვერა სწვდებოდა და ვერ აკმაყოფილებდა მრავალ მოთხოვნას, რომელიც ძალაუნებურად თავს მოახვია წარსულმა დრომ.

3) არ შეიძინოს საზოგადოებამ არავითარი უძრავი ქონება გარდა სასკოლო შენობებისა და გაჰყიდოს კნეინა ოლღა ჭავჭავაძისეული სოფლის მამული და, რაც ნაღდი დარჩება გაყიდვის შემდეგ, მიემატოს სათადარიგო თანხას.

4) უსასყიდლო შრომა უნდა განდევნოს საზოგადოებამ ვალში და პასუხისმგებელი შრომა სპეციალისტებისა ჯეროვნად დააჯილდოვოს. მდივნისა და ხაზინდარის გარდა, დანარჩენნი წევრნი გამგეობისა უსასყიდლოდ მუშაობენ. სასურველია, რომ ამათაც ეძლეოდეთ ჯილდო, იმის მიხედვით, ვინ რამდენს კრებას დაესწრება და იმდენი მაინც, რომ დაჰფარონ ხარჯი მისვლა-მოსვლისა კრებაზედ.

უკეთუ საზოგადო კრება შეიწყნარებს ზემოდ აღნიშნულ გეგმას საზოგადოების მომავალ მოქმედებისას, მაშინ ახლად ამორჩეულ გამგეობას უნდა დაეკისროს:

1) გამოარკვიოს რაოდენობა უიმედო ვალებისა, რომელიც დღეს ამძიმებს საზოგადოების ბალანსს. გამოირიცხოს აგრეთვე ის ფული, რომელიც ითვლება სკოლებზე და ბიბლიოთეკებზე. ეს თანხები წლიდან წლამდე საზოგადოების ბალანსში გადადის და ირიცხება კრედიტორებთან, რომელნიც თავის დღეში ამ ფულს საზოგადოებას არ დაუბრუნებენ.

2) მიიღოს ზომები, რომ გადაიხადონ საზოგადოების ვალი მოვალეებმა. მიენდოს საქმე გამოცდილ იურისტს, და მიეცეს ჯილდო ისეთი, რომელიც საზოგადოდ არის მიღებული.

დღევანდელი გამგეობა ცდილობს და ვალების აკრეფას და ეს საქმე ჩააბარა იურისტებს, რომელთაც იკისრეს საქმის წარმოება უსასყიდლოდ, მაგრამ ვექილებმა იმედი ვერ გაამართლეს და დაწყებული საქმენი კეთილად ვერ დაგვირგვინდა.

3) ყველა არსებული თანხები (ფონდები) შეერთდეს სამ დიდ ჯგუფად (ფონდად): 1) სამუზეუმო, 2) სალიტერატურო და 3) სასკოლოდ.

პირველი მუხლი საკმაოდ ხანგრძლივ კამათს იწვევს.

ნ. ელიავა აღნიშნავს, ეს მუხლი მეტად ვიწრო ფარგლებშია ჩაყენებული. ასე გასინჯეთ, თვით წესდების პირველი მუხლი უფრო ფართეა და ამიტომ იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოებას ვერ ჩამოვაშორებთ იმ საქმეებს, რომელიც სწავლა-განათლების გარეშე სდგას, ძალაში უნდა დარჩეს პირველი მუხლიო.

გ. მესხიშვილი თხოულობს გამგეობამ სრულიად წაშალოს თავის მოხსენებაში პირველ მუხლის მეორე ნახევარი.

გ. რცხილაძე. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა და თავის ენერგიის 80% ისეთ საქმეებზე ხარჯავს, რომელიც სახალხო განათლების გარეშე სდგას, მაგალითად სტიპენდიების განაწილებაზე. საზოგადოების მოქმედების ასეთი დანაწილება-დაქუცმაცება მე ანორმალურ მოვლენად მიმაჩნია. ამიტომ სიამოვნებით მივეგებები გამგეობის მოხსენების პირველ მუხლს შემდეგის ცვლილებით: „პირველი დაწყებითი სწავლა“ უნდა შეიცვალოს „სახალხო განათლებად“.

ა. აბაშიძე აღნიშნავს, რომ საზოგადოებას ბევრი ისეთი საქმე აქვს დაკისრებული, რომელიც მის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს, მაგრამ ამ საქმეების ჩამოშორება მაინც ნაადრევად მიაჩნია სხვა შესაფერ საზოგადოებათა უქონლობისა გამო.

კამათის შემდეგ კრება ამ მუხლს შემდეგის შესწორებით იღებს:

„საზოგადოება ვალდებულია მიჰყვეს თავის პირვანდელს გეგმას და უპირველესად აასრულოს პირველი მუხლი წესდებისა, რომლის აზრია „განათლების გავრცელება ქართველთა შორის სამშობლო ენის საშუალებით“.

მეორე და მესამე მუხლი კრებამ სრულიად უარჰყო. მესამე მუხლში დასტოვა მხოლოდ ეს ადგილი: „უსასყიდლო შრომა უნდა განდევნოს საზოგადოებამ მომავალში და პასუხსაგები შრომა სპეციალისტებისა ჯეროვნად დააჯილდოვოს.

კრებამ აგრეთვე უარჰყო გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ ყველა არსებული ფონდები სამ დიდ ფონდად შეერთდეს.

ამის შემდეგ კრებამ კენჭი უყარა წინა კრებაზე წარმოდგენილ ორ რეზოლუციას საწევრო ფულის შემცირების შესახებ.

პირველი რეზოლუცია ასეთი იყო: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საზოგადოების წევრთა სიმცირე დამოკიდებულია უმთავრესად საწევრო გადასახადის სიდიდეზე, საზოგადო კრება ავალებს გამგეობას, ახლო მომავალში საგანგებო კრება მოიწვიოს ამ საკითხის გადასაწყვეტად.“

მეორე: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ წ.-კ. საზოგადოების წევრების რიცხვი შემცირდა, საზოგადო კრება ავალებს გამგეობას, შეისწავლოს ეს საკითხი და ამ საკითხის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად საგანგებო კრებას წარმოუდგინოს თავისი მოხსენება“.

კრება უკანასკნელ რეზოლუციას იღებს.

ამის შემდეგ კრება გადადის ლექსიკონის გამოცემის საკითხის განხილვაზე.

დ. ბოცვაძე კითხულობს გამგეობის მოხსენებას სამენოვან (ქართულ-რუსულ-ფრანგულ) ლექსიკონის გამოცემის შესახებ.

მოხსენების შინაარსი უკვე გვქონდა ჩვენს გაზეთში, ამიტომ მას აღარ გავიმეორებთ.

სიტყვას თხოულობს ა. ჩხენკელი, რომელიც მეტად გრძელს სიტყვას ამბობს.

ა. ჩხენკელი თავის სიტყვას ასეთს რეზიუმეს უკეთებს:

„1. საჭიროა შედგენილ და გამოცემულ იქმნას არა მარტო ქართულ-რუსული ფრანგული ლექსიკონი, არამედ მასთან ერთად რუსულ-ქართული და ფრანგულ-ქართულიც.

ა) ლექსიკონის შედგენის დროს აუცილებელია ქართულ მასალის გარდა აგრეთვე რუსულ და ფრანგულ ლექსიკონებით სარგებლობა, ამიტომ რაღა ქართული სიტყვები ორ უცხო ენაზე ითარგმნება, ბარემ ამ უცხო ენებიდანაც გადითარგმნოს სიტყვები ქართულად. ეს ადვილია ტეხნიკურად და იაფი ნივთიერად. საზოგადოება ვერ იკისრებს ახლო მომავალში რუსულ-ქართულ და ფრანგულ-ქართულ ლექსიკონის შედგენა-გამოცემას და კიდეც რომ იკისროს, მაშინ ამ საქმის ცალკე მოგვარება გაცილებით მეტ შრომას და ხარჯს მოითხოვს.

ბ) მართალია საზოგადოებას მოეპოვება რამდენიმე ცალი რუსულ-ქართულ ლექსიკონისა, მაგრამ ის არაა სრული და უნაკლულო, ხოლო ფრანგულ-ქართული ლექსიკონები სულაც არ არსებობს. გამგეობა სამართლიანად აღიარებს არსებულ ლექსიკონების გაფართოვების და გაუმჯობესების აუცილებელ საჭიროებას. თავი და თავი ისაა, რომ რაც შეიძლება მეტი **ქართული** სიტყვა შევიდეს ახალ ლექსიკონში, მაგრამ ამ საპატიო მიზნის სავსებით მიღწევა ისეთ მოკლე ვადაზე, როგორიც ყველასაგან სასურველადაა მიჩნეული, ერთობ ფერხდება ძალების სიცოტავით და აქედან დაწერილ თუ ზეპირ მასალების მთლად გამოყენების შეუძლებლობით. ეს ნაკლი საგრძნობლად შეივსება, თუ კი რუსულ და ფრანგულ სრულ და უნაკლულო ლექსიკონებიდანაც ითარგმნება ქართულად სიტყვები, რაიცა სხვა სიტყვით მოასწავებს იმას, რომ ლექსიკონში მოხვდება მრავალი ისეთი სიტყვა, რომელიც არსებობს ქართულ ენაში, მაგრამ მათი გახსენება და თავმოყრა ამა თუ იმ მიზეზით შეუძლებელია. ამ შემთხვევაში უცხო ენებიდან ქართულად თარგმნილ სიტყვებს მარტოოდენ ალფავიტზე დასჭირდება დაწყობა და ისე შევა, საჭიროების მიხედვით, ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონში. დროა აგრეთვე ოდნავ მაინც გაწიოს ანგარიში მეცნიერულ ტერმინების ქართულად გადმოღებას, რასაც დიდს სამსახურს გაუწევს განსაკუთრებით ფრანგულ სიტყვების ქართულად განმარტება.

გ) უცხოთათვის ქართულ ენის შესწავლის საჭიროება, რაზედაც გამგეობა მიგვითითებს, მაშინ უფრო დაკმაყოფილდება, თუ მათ, უცხო-

---

ბ-ნი ნ. ლორთქიფანიძე, როგორც საზოგადოდ ამ ახალი ბანაკის მწერლები, უმთავრესად ლირიკია. მასზე, რომელიმე მოვლენა განსხვავებულ შთაბეჭდილებას ახდენს და ისიც მოგვითხრობს ამ შთაბეჭდილებაზე. მთელი მისი პოეზიის ცენტრი საკუთარი „მე“-ა, რადგან ეს „მე“ ფოკუსია, სადაც ყოველგვარი შთაბეჭდილება ერთად თავს იყრის.

ეს „მე“ მკითხველისათვის იმდენად საინტერესოა, რამდენადაც იგი სწრაფად ითვისებს ამ ახალ ცხოვრების მრავალფეროვანებას.

ავიღოთ მისი მინიატიურა „წინად და ეხლა“ (იხ. „თეატრი და ცხოვრება“, № 26).

აქ პირდაპირ სათაური გვაჩვენებს, რომ ავტორმა უნდა გამოჰხატოს თავისი სულიერი მდგომარეობა სხვა და სხვა ხანებში; მან უნდა სისწორით აღნუსხოს გარდამავალი ხანა, რომელიც ერთ გრძნობას მეორედ სცვლის. ამგვარ ფსიხოლოგიურ მომენტის დახატვა მეტად ძნელ საქმედ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აქ გარეშე რეალური ძალა კი არ ახდენს ამ რევოლუციას მის „მე“-ში, არამედ მომქმედი მარტო მისი „მე“-ა. მიუხედავად ამ სიძნელისა, ავტორმა მშვენივრად დაგვიხატა ეს სურათი.

„...დასჭკნები, როდესაც მკვდარსა ჩამბერავ სულსა უკვდავებისას, დაღნები, როცა ვერ ნახავ შენთვის საჭირო ჰაერს, მიდამოს სიმღერასინათლეს.

არა! არა მსურს! (რომ ჩემს გულში დარჩეო ა. პ.), წადი და შეგრჩეს, თუნდაც შორს ჩემგან, ეგ მიწიერი შენი მშვენება.

კიდევ არ მიხვალ? არა?!.

მაშ ისევ სანთლად შენს წინ დავდნები; ყვავილს ვიშოვი მყინვარის თავზედ, ბულბულის სტვენას მოგასმენინებ...

... ისევ ჩემს განახლებულს გულში“.

აი, სულ რამდენიმე სტრიქონში, როგორ ცოცხლად არის გადმოცემული დიდი სულიერი დრამა. თქვენ გაინტერესებთ დრამა დამარხული სიყვარულისა, თქვენ იქნებ გინდათ ამაზე მთელი ტომები გადაიკითხოთ, მაგრამ ავტორი ათი სტრიქონით გეტყვით ამას თავის მინიატიურაში: „ყელ-სახვევის ნაფლეთები“, და მერე რა რიგ ცოცხლად—თქვენ ნათლად ჰხედავთ ამ კეთილ მზრუნველს, რომელიც ასე ნაზად უვლიდა ბავშვებს მათ მიერ გამართულ საღამოზე, თქვენ ცხადად წარმოგიდგებათ ისიც, რომელმაც, შეიძლება სიყვარულის გამო, ასეთი კაცთ-მოყვარეობა გამოიჩინა და, აივანზე გამსვლელ მასწავლებელს, ზრუნვით თავისი ყელ-სახვევი მოახვია...

— არ გაცივდეთ!

საღამო გათავდა და ყელ-სახვევი კი შერჩა მზრუნველს. ის ქალს აღარ წაუღია.

„და ყმაწვილი, კეცდა და ხვევდა ყელ-სახვევს. „დღეს ვეტყვი... გამოვუცხადებ გულის ნადებს... არა ხვალ... არა ზეგ...“

და ამ ფიქრებში გავიდა კვირა, თვე...

სრულიად განშორდნენ ერთმანეთს. გავიდა წელი ერთი, ათი, ოცი...

ყელსახვევი დაიხა. ნაფლეთებიღა დარჩა... თხელ გაზეთშია გახვეული ნაშთი ერთად-ერთი სიყვარულისა, წმიდა სიყვარულისა“.

აიღეთ „ყვავილები“, „შემომქმედი ძალა“, „შენზე ცუდს მაინც ვერაფერს ვიტყვი“ და მრავალი სხვა. ყველგან ასე ცოცხლად, ასე მკაფიოდ და მოკლედ არის გამოხატული გრძნობათა ცვალებადობა, რომელიც ხშირად ბაფოსიდან უსაზღვრო პესიმიზმამდე გადადის, და წინააღმდეგ.

ამავე სკოლას ეკუთვნის ბ-ნი ლევ. მეტრეველიც. რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდა მგოსანს შანშიაშვილს, იგი პირდაპირი შვილია ამ მიმართულებისა. მან თავიდანვე შეითვისა ეს მეთოდი და, უნდა ვსთქვათ, საამისო ნიჭიც შესწევდა. თვით ლექსთა-წყობის ფორმაშიც, არა მგონია, რომელიმე ჩვენი პოეტთაგანს ისე ემარჯვებოდეს ლექსების ფორმის ცვლა, როგორც ბ-ნ შანშიაშვილს (ამ მხრით მხოლოდ ი. გრიშაშვილი შეგვიძლიან შევადაროთ).

აიღეთ შანშიაშვილის ფანტასტიური სურათები „ოცნების მხარეში“, მისი ლექსები „ლანდები“, „გაზაფხული“, „ნისლი“ და მრავ. სხვა. ეს ფორმის მხრით; რაც შეეხება შინაარს, აქაც ამ ხასიათის მრავალგვარობას დაინახავს მკითხველი. პოეტი შემოდგომის გულსაკლავ სურათს ჰხედავს, მასზე ე' სურათი ერთგვარ შთაბეჭდილებას ახდენს და სურს ნათელ-ჰყოს იგი ჩვენთვისაც. პოეტი, არა იმპრესიონისტი, ამ შემთხვევაში, იტყოდა:

„შემოდგომისა სიომ დაჰბერა,
ხეებს ფოთლები ჩამოაცალა,
ღრუბლით მოჰფინა მან არე-მარე
და მზისა სხივი სრულად დამალა...“
და სხვ.

ამ შემთხვევაში მკითხველმა იცის, თუ რაზედ არის ლაპარაკი.—შემოდგომის სიოზედ: მან დაჰბერა, მან ფოთლები ჩამოაცალა, მან ღრუბლები მოჰფინა, მან მზე დაჰფარა, მან... და სხვ. აქ ჩვენს წინ ნათლად იხატება ეს შემოდგომის ქარი და მისი გავლენა ბუნებაზე.

პოეტი იმპრესიონისტი შანშიაშვილი, ამ ქარის გარდა ათას რამეს ხედავს და მას უნდა ყველა ეს ერთად დაგვიხატოს, რომ სანამ ვარდის დაჭკნობაზე გადავიდოდეთ, წვიმა არ დაგვავიწყდეს და სხვ. მას აინტერესებს მთელი შემოდგომის სურათის ერთად შტრიხებით გადაღება, რომ მალე გადავიდეს მის საკუთარ სულის კვეთებაზე; აი მისი ლექსი:

თეთრი ნისლი,
წვიმა, ქარი,
მწუხარება,
გლოვა, ზარი!...
ფერ მიხდილი ვარდი, მკვნარი,
სდუმს, ყუჩდება მთა და ბარი!

—

სევდა, ცრემლი, გული კვნესის
ხმა სალხენი აღარ მესმის!..

—

ვაი, ვიში!
თრთოლვა, შიში!
მინდვრის ბალახს, რთვილი ფარავს,
თან მოუთხრობს მწარე ამბავს:
— მოგკლავ, მოგკლავ
და დაგმარხავ
მზის ცხოველ სხივს ვეღარ ნახავ!
გრიგალი ჰქრის,
მთის ნაძვი ჰკრთის...
თავს დაბლა ხრის...
და ჩუმათ სტირს...

. . . .

მოვწყვიტე ია გულში ჩავიკარ“...
და სხვ.

როგორც ხედავს მკითხველი ამ ლექსში, გარდა იმისა, რომ ფორმის ერთგვარობა დაცული არ არის (თითქმის ყოველ ორი სტრიქონის შემდეგ იცვლება), თითონ წინადადებები მეტად შეკვეცილია (ხშირად მარტო ერთი სიტყვაა ნახმარი მაგ. წვიმა (სცრის), ქარი (ჰქრის), მწუხარება (....) და სხვ.). ავტორი ერთ საგანზე არ ამთავრებს ლაპარაკს, უცებ მეორეზე და მესამეზე გადადის, ის გარბის, მეტად ჩქარობს და სურათიც ცოცხალი გამოდის; სულ ორიოდე სტრიქონში აღწერა მან ბუნების სილარიბე, ზაფხულის დამარცხება და უცებ გადავიდა შთაბეჭდილებაზე, მის სულის კვეთებაზე. „ვაი ვიში, თრთოლვა შიში, მინდვრის ბალახს რთვილი ფარავს“... აქ, როგორც ვხედავთ, იგი ისევ ბუნებაზე გადადის. პოეტი მხოლოდ წუთებით სცხოვრობს; იგი ერთი წუთით თავის სევდაზე შეჩერდება, მერე ისევ სხვა სურათზე გადადის, აქაც ერთს წუთს თუ დაჰყოფს, რადგან შემოდგომა ხანმოკლეა და მან მარტო ქარის ქროლვა კი არ უნდა ასწეროს ამ ხანებში, არამედ, მთელი ბუნება; იგი წუთიერი სტუმარია თითოეული ამათგანის, იგი წუთებითა სცხოვრობს და მხოლოდ წუთიერ შთაბეჭდილებას თუ გადმოგვცემს, ისე, როგორც კარგად ცნობილი იმპრესიონისტი რუსი მწერალი ბალმონტი, რომელიც თავის თავზე ამბობს:

Я каждой минутой соженъ
Я въ каждой измѣнѣ живу“!

ერთის წუთით საგნის ნამდვილ აზრს ვერ მიწვდები, მის სახეს და თვისებებს ვერ შეისწავლი, ამიტომ რასაც ხედავს იმპრესიონისტი, ნამდვილი კი არ არის, არამედ მას მხოლოდ ის ასეთ ნაირად ეჩვენება, მას არც კი სურს ნამდვილი აზრი გაიგოს.

პოეტს რაღაც მიზეზის გამო, ერთის წუთის შეხედვით, სატრფო ღიმილად მოეჩვენა და მიჰმართავს მას:

„შენ ხარ ღიმილი,—მე წრფელი ბაგე...
ჩემს ლალის ტუჩებს არ დაფარვატებ“...

ამავე წუთიერ შეხედვის გამო მას ეჩვენება—

სევდით სავსე წვიმა სცრის
და სოსანი მწარედ სტირს,
მისცემია ველი ძილს
შეუსუსტდა ფერი მტილს
მოსთქვამს შავი მუხის ძირს:
კორდს არიდებს დაესილ პირს.

—

სულის კვნესა ხდება ტყეს.
სუ! ცრემლები სწვეთა ხეს
შველსა ნუკრი, ღამეს ბნელს,
შორს გაურბის სალსა კლდეს.
გამხმარ რტოსა ვინა სტეხს
გრიგალია მთებში ეს.

—

სული დანაღვლდა... ცა იცრემლება (?)“ და სხვ. სჩანს პოეტი უსულოს სულს უდგამს და ალაპარაკებს, ატირებს, რადგანაც თითონაც სტირის. შეიძლება ბუნება ხარობდეს კიდეც. განა წვიმა ხშირად ლამაზი და სასიამოვნო არ არის? იტყვით თქვენ.

რასაკვირველია, მაგრამ, პოეტმა, მძიმე სევდით მოცულმა პოეტმა ერთის წუთით მოჰკრა მას თვალი და მოეჩვენა მტირალი.

როგორც ვხედავთ, ერთი სურათი საშინელის სისწრაფით სცვლის მეორეს, მაგრამ პოეტი მაინც კი ასწრებს მათ აღწერას; ეს ხანაც გადამავალია; გავა დრო, და ცხოვრების ღერძიც უფრო მეტის სიჩქარით დატრიალდება, მაშინ ეს სიჩქარე ის იქნება, რასაც ჩვენ თვალ-მიუწვდენელს ვეძახით, მაშინ პოეტის შტრიხები ერთმანეთისაგან ვეღარ გაირჩევა, საზღვრები წაიშლება და ერთი ვეებერთელა სურათი გამოვა, რომლის ამოხსნა ისეთი გასაჭირი იქნება, როგორც ლურსმნული წარწერებს. ეს ხანა რუსეთის ცხოვრებაში უკვე დადგა; მან მისცა რუსეთს ლ. ანდრეევი, რომელიც ცხოვრების სრბოლაში დეტალებს ვეღარ არჩევს და ხედავს „ვინმეს“, რომელზედაც „რუხი“ ტანთსაცმელი აცვია. რუხი სიმბოლოა ფერების არევისა. ფერებთან ერთად ეს „ვინმეც“ გაურკვეველი რჩება მკითხველისათვის, იმიტომ რომ მასში არეულია ათასნაირი სხვა-და-სხვა გვარობა... ჩვენს ახალგაზრდა პოეტს, შანშიაშვილსაც არა ერთხელ აჰჭრელებია თვალები ამ ცხოვრების ბორბლის წინ და ამ დროს მასაც ყველაფერი არეულად ეჩვენება, თითქოს ყველაფერს რაღაც ბურუსი ნისლი გადაჰკვრია (იხილე ლექსი „ნისლი“). ამ დროს მისი სატრფოს სახეც დაფარულია მისთვის, მასაც რაღაც „ლეჩაქი“ გადაჰფარებია, რომელიც ნამდვილ სახეს ჰფარავს.

ზ. შანშიაშვილთან ერთად ამ მიმართულების გავლენა ემჩნევა: გ. გრიშაშვილს, იასამანს, აბაშელს, ტაბიძეს და სხვ.

ბკაკი ბაბავა.

ელებს საკუთარ ენიდანაც გადაეთარგმნა სიტყვები ქართულად, მეორე მხრით გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თვით ქართველების საჭიროებას. რუსულ-ქართულ სრულ და უნაკლულო ლექსიკონის აუცილებელი პრაქტიკული საჭიროება ქართველ საზოგადოების ყველა წრეთათვის თავის-თავად ცხადია. გარდა ამისა, არ არსებობს ისეთი ერი, რომელიც არ იკვებებოდეს უცხო ენებიდან თარგმნილ ლიტერატურით, ქართველი ერი კი თითქმის სრულია და მოკლებულია ამ შეღავათს, იმავე დროს მისი ორიგინალური ლიტერატურა ერთობ ღარიბია. ორ უცხო და მდიდარ ენიდან ქართულად გადმოღებული ლექსიკონი ერთი უპირველესი პირობათაგანია თარგმნილ ლიტერატურის გასამრავლებლად ქართულ ენაზე.

2. საჭიროა ლექსიკონის შედგენა-გამოცემისათვის დავიხმაროთ ერის ყველა ძალები და აქედან მივცეთ მას ნამდვილი ხალხური ხასიათი. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება გამგეობის მიერ დასახულ ფრიად მოსაწონ განზრახვის ჩქარა მომავალში განხორციელება: შეგროვება და ქართულადვე განმარტება ხალხში თუ მწერლობაში გაბნეულ ძვირად ხმარებულ და აქედან ბევრისათვის გაუგებარ ქართულ სიტყვებისა.

3. საქმის ორგანიზაცია. ა) **ვიწრო წრე** სამის პირისაგან: ქართულიდან, რუსულიდან და ფრანგულიდან მთარგმნელ-რედაქტორნი. ეს კოლეგია სრულიად დამოუკიდებელია ლექსიკონის შედგენის მხრით, თანაც ის არის ერთად ერთი პასუხის მგებელი საზოგადოების წინაშე დაკისრებულ საქმის თავის დროზე პირნათლად შესრულებაში; თითოეული წევრი იღებს განსაზღვრულ გასამრჯელოს ყოველთვიურად საზოგადოებისაგან. წრეს სათავეში ქართულ ენიდან მთარგმნელ-რედაქტორი უდგას. თითოეული წევრი საკუთრად და ცალკე მუშაობს, მაგრამ წრე იკრიბება პერიოდულად და ისმენს ერთი მათგანის მოხსენებას მორიგეობით. ბ) **ფართე წრე** ათის პირისაგან, იგივე თანამშრომელნი. თითოეული წევრი საკმაოდ განათლებულია ამა თუ იმ დარგში. ფართე წრე ესწრება ვიწრო წრის ყოველ კრებას, ისმენს მოხსენებას და შეაქვს საჭირო შესწორებანი. გ) **პრესა.** თითოეული პერიოდული გამოცემა უთმობს ლექსიკონისათვის მასალის შეგროვების საქმეს განსაზღვრულ, თვალში მოსახვედრ მცირე ალაგს, სადაც აღინიშნება განსაკუთრებულ წრეების მიერ საეჭვოდ მიჩნეული სიტყვები და მათი განმარტებანი, აგრეთვე მკითხველ საზოგადოების მიერ მოწოდებული შენიშვნები იმავე საგანზე და ძვირად ხმარებული სიტყვები. ამით ყველას საშუალება მიეცემა დაეხმაროს მომქმედ ვიწრო წრეს. პრესა თავის ზომებს მიიღებს ამისათვის.

4. **სახსარი.** ა) ლექსიკონის შედგენა უნდა გამოყოფილ იქმნას მათი გამოცემისაგან. შედგენის ვადას განსაზღვრავს გამგეობა, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს. ბ) კრებას შეაქვს თავის ხარჯთ-აღრიცხვაში მხოლოდ ერთი წლის ხარჯი, ე. ი. ვიწრო წრის წევრთა გასამრჯელო ერთის წლის განმავლობაში. იგი უდრის 3,800 მანეთს, აქედან გამგეს—1400 მან. დანარჩენ ორ წევრს—1200 მან. თითოს. ამ რაოდენობას საზოგადოება დაესესხება საგანგებო თანხებს და საქმის განაღდებისამებრ ის უბრუნდება მათ. გ) გამგეობას ევალება, გამოსძებნოს ახალი წყაროები საქმის გასაძლოლად მომავალში; კრება მიუთითებს მას ერთ-ერთ ასეთ წყაროზე—ესაა ხელის მოწერით ფულის შეგროვება“.

გ. რცხილაძე თხოულობს კამათი ამ საგნის თაობაზე ხვალისთვის გადაიდოს და თუ კრება დაჰხედავს, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის განხილვას ვერც ხვალ მოასწრობს, მაშინ ეს საკითხი სრულიად გამოჰყოს სხვა საკითხებიდან და იგი საგანგებო კრებაზე განიხილოს.

ბევრი ეთანხმება ორატორს.

კრება სწყდება და 24 აპრილის დილის 12 საათისთვის ინიშნება.

24 აპრილი.

საზოგადოების თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი კრებაზე არა ცხადდება. თავმჯდომარის ამხანაგი ა. ბ. მდივანიც იგვიანებს, ამიტომ კრება იწყება გამგეობის წევრის დ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით ნაშუადღევის 1 საათზე. გამგეობის წევრთაგან ესწრება კრებას ა. ყიფშიძე და ლ. ბოცვაძე.

დ. კარიჭაშვილი: ბ-ბო! განსახილველია საკითხი ლექსიკონის გამოცემის შესახებ.

გ. რცხილაძე: აქვთ თუ არა უფლება განყოფილებათა წევრებს, საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღონ.

დ. კარიჭაშვილი: ასეთი უფლება მხოლოდ განყოფილებათა დელეგატებს აქვთ.

კრება განყოფილებათა ყველა წევრებს აძლევს ხმის უფლებას.

მცირე კამათი იწყება ლექსიკონის გამოცემის შესახებ. თითქმის ყველა იმ აზრისაა, რომ ეს საკითხი უნდა გამოიყოს და განხილულ იქმნას დაწვრილებით შემდეგ.

კრება ერთხმად ეთანხმება ამ აზრს და ამ საკითხის განხილვას მომავალ საზოგადო კრებისთვის სდებს.

სიტყვას თხოულობს მცხოვანი მგოსანი აკაკი.

აკაკი შეეხო ქველ-მოქმედებას, რომელიც ჩვენში ან სრულიად არ არსებობს და თუ არსებობს სადმე, ჯეროვანი ნაყოფი არ მოაქვს. ქველ-მოქმედებით ქართველები კარგად ვერა სარგებლობენ და ამიტომ მას ნაყოფიც არ მოაქვსო. ამის დასამტკიცებლად აკაკიმ მაგალითად სტუდენტებზე გაცემული ფული მოიყვანა. ჩვენ სტუდენტებს ფულს დაუბრუნებლად ვაძლევთ, სთქვა ორატორმა. ის ქველ-მოქმედება, რომელიც ზევიდან მოდის, უნაყოფოდ იკარგება; სამაგიეროდ საგულისხმოდ უნდა ჩაითვალოს ქვემოდან წამოსული ქველ-მოქმედება. ერი შეიძლება ხეს დავადაროთ, ხესა აქვს ძირი, ფესვები, ტოტები, ყვავილები. ყვავილი სულ ბოლოშია მოქცეული, მაგრამ იგი არ იარსებებდა, ფესვები რომ არა ყოფილიყო. ხის სიცოცხლის მატარებელი საბოლოვოდ ისევ ფესვებია. ერის მაცოცხლებელიც მისი მდაბიო ხალხია. ჩვენი ერის მდაბიო ნაწილი ქვევიდან ეწევა იმ ქველ-მოქმედებას, რომელიც ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს ასაზრდოებს; იგივე მდაბიო ხალხი უნდა ჩაითვალოს იმ სალაროდ, სადაც ქართული ენა ინახება. ტყუილად ჰგონიათ, რომ შესაძლებელია ლექსიკონის შედგენა ხალხის დაუკითხავად. ერთხელ ასეთი შემთხვევა მქონდა. დედა ეუბნებოდა შვილს: შვილო ცხვირი მოიხოცეო; შვილმა უპასუხა, რა ვქნა, დედა, სატე არა მაქვსო. მაშინ მე სიტყვის მნიშვნელობა ვერ გავიგე, თანაც ვიფიქრე, ალბად ბავშვს რომელიმე სიტყვა გაუგია და ეხლა დამახინჯებულად გადმოსცემს მეთქი. რამდენისამე ხნის შემდეგ წისქვილის კეთებას შევესწარი. ერთი ხელოსანი ეუბნებოდა მეორეს, წისქვილის ღარს სატე გაუკეთეო. მაშინვე ბავშვის სიტყვები გამახსენდა. ვკითხე, და ხელოსანმაც ამიხსნა, რასაც ნიშნავს სიტყვა „სატე“. აღმოჩნდა, რომ სატე ნიშნავს იმას, რასაც რუსულად ეძახიან „емкость“.

ბევრი ამისთანა სიტყვაა დარჩენილი ხალხში, და ჩვენ კი არ ვიცით. იმ უცოდინარობით უნდა აიხსნას, რომ ხშირად კაბინეტებში იგონებენ ახალ სიტყვებს მაშინ, როდესაც ხალხში მოიძებნება ბუნებრივი ქართული სიტყვა. ამ რამდენისამე წლის წინად კომისია იყო დანიშნული. ამ კომისიას სიტყვები უნდა შეემუშავებინა. აი, რანაირი კურიოზები ხდებოდა ამ კომისიაში. დაგვჭირდა სიტყვა „ტუნელ“-ის გადათარგმნა. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს „ტონელი“ ქვა-ხვრეტილად გადათარგმნეს. მე ვუპასუხე, ყოვლად შეუძლებელია, რომ ქართულს მწერლობაში „ტუნელი“-ს მაგიერი სიტყვა არ არსებობდეს, რადგანაც თითოეულ ციხეში უსათუოდ არსებობდა იგი-მეთქი. მივუთითე სიტყვა „გვირაბზე“, მაგრამ, რომ არ ეწყენინებინათ იმათთვის, ვინც „ქვა ხვრეტილი“ მოიგონა, „ტონელი“ ისევ ქვა-ხვრეტილად დასტოვეს. ასევე მოექცნენ სიტყვა „ვოდოპად“-საც. „ვოდოპადი“ გადათარგმნეს „წყალვარდნილად“, როდესაც ჩვენა გვაქვს სიტყვები: ჩახრიალა, ჩანჩქერი და სხვა. ასე იცის კაბინეტში სიტყვების მოგროვებამ. რომ ასეთი მოვლენები თავიდან ავიცილოთ, ხალხური ზეპირ-სიტყვაობა უნდა შევკრიბოთ. ხალხური ზეპირ-სიტყვაობის შეკრება პირველი ნაბიჯი იქნება ლექსიკონის შედგენისაკენ. ამ რამდენისამე წლის წინად მე ასეთი წინადადება შევიტანე წერა-კითხვის საზოგადოებაში. მაშინ მითხრეს: „სახეში მივიღებთო“. მას შემდეგ რამდენიმე წელიწადმა გაიარა და ზეპირ-სიტყვაობის შედგენისათვის ჯერაც არ მოუკიდიათ ხელი.

დ. კარიჭაშვილი. საკითხი ლექსიკონის შედგენის შესახებ უკვე გადადებულია. რაიცა შეეხება თქვენს სურვილს, იგი ოქმში იქნება შეტანილი, და ჩვენც სახეში მივიღებთ (სიცილი).

აკაკი. მეც ვიცი, რომ სახეში მიიღებთ და თავამდის აღარ მივა (კვლავ სიცილი).

ა. ყიფშიძე კითხულობს გამგეობის იმ მოხსენებას წ.-კ. საზოგადოების უძრავი ქონებაზე, რომელიც ჩვენს გაზეთში უკვე დაბეჭდილი გვქონდა.

ხანგრძლივ კამათს იწვევს გამგეობის წინადადება ტფილისის ილიასეულ სახლის გაყიდვის შესახებ.

კ. აბაშიძეს ძალიან უკვირს გამგეობის ასეთი წინადადება, რადგან სხვაგან დიდებულ ადამიანთა სახლებს ასეთი საზოგადოებანი იკ არა ჰყიდიან, არამედ ყიდულობენო. მისის აზრით, ეს სახლი უთუოდ შენარჩუნებულ უნდა იქმნას. ვალის გასასტუმრებლად ყოველ გვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული. ბანკსაც უნდა მივმართოთ თხოვნით. განყოფილებებიც უნდა დავიხმაროთ, ან ხელის მოწერა გავმართოთ.

შ. გეძევანიშვილი და ა. დიასამიძე ეთანხმებიან მას. უკანასკნელი დასძენს: 28 მაისს ბანკის კრება იქნება და კრებამდე ორი კვირით ადრე შესაფერი თხოვნა შევიტანოთ. მისის აზრით, ყოველთვის მოიპოვება 50 ისეთი წევრი წ.-კ. საზოგადოებისა, რომელნიც ბანკში ამომრჩევლებად არიან და ამ განცხადებას ხელს მოაწერენ.

კრება ადგენს: სახლი აუცილებლად შენარჩუნოს საზოგადოებამ და დასახელებულ ზომებს მიჰმართოს.

ლ. ბოცვაძე კითხულობს 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

შემოსავალს, რომელიც 11,660 მან. 13 კაპ. უდრის, კრება უცვლელად ამტკიცებს.

სავარაუდო გასავალში რამდენიმე მუხლი ხანგრძლივ კამათს იწვევს.

ნ. ელიავა თხოულობს, წიგნის მაღაზია ქარვასლიდან მოხერხებულსა და მარჯვე ადგილას იქმნეს გადატანილ იქმნეს. ამას გარდა ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი ფული 200 მან. ჟურნალისთვის, რომელშიაც ოქმების გარდა არა იბეჭდება რა და 300 მან. ხაზინადრისთვის, რომლის თანამდებობის დაარსებაც განუზრახავს გამგეობას.

გ. თაყაიშვილი: მდივნის ჯამაგირად ხარჯთ-აღრიცხვაში 1,200 მანეთია შეტანილი. რადგან მდივნის მოვალეობა დიდ ენერგიასა და მომზადებულ კაცს მოითხოვს, ამიტომ მას 2,500 მან. დაენიშნოს. რაც შეეხება სკოლებისა და ბიბლიოთეკების ინსპექტორის თანამდებობის დაარსებას, რომლის ჯამაგირად ხარჯთ-აღრიცხვაში 1,200 მანეთია ჩატანილია, ეს საკითხი მომავალისთვის გადაიდოს.

გ. იმნაიშვილი აღნიშნავს, რომ საჭიროა სკოლების მასწავლებელთ რიგიანი ჯამაგირები მიეცეთ, რათა ისინი ჩვენიდან სხვაგან აღარ გარბოდნენ.

ფ. მგელაძეს საჭიროდ მიაჩნია მასწავლებელთა უზრუნველყოფა სიბერისა და მოლოდინობის დროს.

შ. მიქელაძე წინადადებას იძლევა 300 მან., ხაზინადარის ჯამაგირად ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი, მდივნის ჯამაგირს მიემატოს.

ი. ვართაგავა თხოულობს, ინსპექტორს 2,000 მანეთი წლიური ჯამაგირად და 500 მანეთი საგზაოდ დაენიშნოს.

ხმის უმეტესობით კრება ამტკიცებს გასავალსაც ამ ცვლილებით:

ა) ინსპექტორს მიეცეს წლიურ ჯამაგირად 1,200 მან., ამას გარდა მის საგზაო ფულად 600 მანეთი იყოს გამგეობის განკარგულებაში.

ბ) ჟურნალის გამოსაცემი ფული 200 მან. და ხაზინადრის ჯამაგირი 300 მან. ხარჯთ-აღრიცხვიდან ამოიშალოს და

გ) 300 მან. მიემატოს მდივნის ჯამაგირს. ესე იგი მდივანს წლიურად 1,200 მანეთის მაგივრად, როგორც ხარჯთ-აღრიცხვაში იყო, 1,500 მან. ეძლიოს.

კრება არჩევნების სამზადისს შეუდგა.

საზოგადოების თავმჯდომარედ კვლავ არჩეულ იქმნა გენერალი გ. ნ. ყაზბეგი უკენჭოდ და ერთხმად.

გამგეობის წევრად არჩეულ იქმნენ კენჭის ყრით:

ლ. ბოცვაძე	—58 თეთრი და	1 შავი.
ფ. გოგიჩაიშვილი	54 —	3 „
ს. გორგაძე	49 —	10 „
ნ. ელიავა	39 —	20 „
დ. კარიჭაშვილი	57 —	2 „
ა. მდივანი	48 —	11 „
შ. მიქელაძე	50 —	9 „
ს. ჯაფარიძე	35 —	24 „
ა. ჯაჯანაშვილი	39 —	20 „
გ. რცხილაძე	52 —	7 „
ა. ყიფშიძე	56 —	3 „
შ. დედაბრიშვილი	32 —	17 „

მათ კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: ფ. მგელაძე, ივ. ქავჭავაძე და ი. ვართაგავა. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ღულაძე, კ. კანდელაკი დ. დუმბაძე.

კრება საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზე დასრულდა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 აპრილი.

საზღვარ-გარედ.

მადრიდი. კანალეხასმა განაცხადა, რომ საფრანგეთსა და ისპანიის შუა მაროკოს თაობაზე გამართული მოლაპარაკება მეგობრულად გათავდებაო.

ტანჟერი. ფეციდან 14 აპრილს იტყობინებოდნენ, ფეცის გასანთავისუფლებლად ჯარი შაბათს წავაო, თუ ჯარის საქმე კარგად მოეწყო.

თავრიზი. ქალაქში გაფანტულია პროკლამაციები. იმუქრებიან დუქნებს დავკეტავთო. მუქარა გენერალ-გუბერნატორისა და ენჯუმენის წინააღმდეგაა, მიმართული, მათ პურის კრიზისი ხელოვნურად შექმნესო. ხმები დადის, ვითომც გენერალ-გუბერნატორის საწინააღმდეგო დემონსტრაციის გამართვას აპირებდნენ. ხალხი ფიდაების გაძევებასა თხოულობს. მათ რიცხვში რუსეთის ქვეშევრდომიც ბევრია.

ლონდონი. პალატის ორმა წევრმა, ლიბერალმა და კონსერვატორმა პროექტი შეიტანა, რომლის ძალითაც არჩევნების უფლება იმ ქალებსაც მიენიჭება, რომლებიც საკუთარ მეურნეობას აწარმოებენ. დარწმუნებულნი არიან, რომ პროექტი არ გავა.

ბერლინი. ვოლფი იტყობინება: ხარჯთ-აღრიცხვის კომისიაში, როდესაც დასავლეთ პრუსიისა და პოზნანის დასახლების საკითხი ირჩეოდა, მიწად-მოქმედების მინისტრს შეეკითხნენ: რატომ სარგებლობთ იმ კანონით, რომლის ძალითაც შეიძლება პოლონელებს მიწა ჩამოერთვასო. მინისტრმა უპასუხა: მაგ. კანონს მაშინ მივმართავთ, როცა საჭირო იქნებაო. კონსერვატორებმა და ნაციონალ-ლიბერალებმა განაცხადეს, პრინციპიალურად ვეთანხმებით მთავრობას, რომ საჭიროა პოლონელებისადმი ძველ-პოლიტიკას მივდიოთო.

ბერლინი. პოლონელთა ფრაქციამ უკან წაიღო თავისი თხოვნა იმის შესახებ, რომ ნება მიეცათ კარდინალი ნედოხოვსკი პოზნანის ტაძარში დაეკრძალათ. მიზეზი ის არის, რომ მთავრობამ სამძიმო პირობები დაუდო. ამ პირობებში სხვათა შორის ისიც იყო, რომ პოლიტიკური დემონსტრაციები არ მოეხდინათ.

პარიზი. მინისტრთა საბჭოში კრიუპიმ განაცხადა: ფეცი ალყა შემორტყმულია, ქალაქში სურსათი გაძვირდა და აჯანყებისა ეშინიანთ, ზარბაზნის ყუმბარები შემოაკლდათო.

24 აპრილი

რაბატ. 22 აპრილს ზაერები, რიცხვით ასი კაცი მერედიასა და სალეს შუა ქარავანს დაეცნენ. შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც მოჰკლეს ფრანგი ბრიგადირი, დასჭრეს ლეიტენანტი დემა და (3?) ჯარის კაცი. მზვერავი რაზმი შეიხს დაეწია; შეიხი გაიქცა და აქლემების ქარავანი მიატოვა. ზაერებმა ის წყალი დასწყვიტეს, რომელსაც ხალხი ხმარობს.

ელპაზო. მეამბოხეთა მეთაურმა მადერომ ოფიციალურად განაცხადა, დროებით მშვიდობიანობასა ვარღვევთ, რადგანაც ამისი ვადა გავიდაო. მექსიკის მთავრობის რწმუნებულს გომეტის განუცხადა, მოლაპარაკების გაგრძელება შეუძლებელიაო. პრეზიდენტ დიაცის გადაყენების მოთხოვნა უპასუხოდ დასტოვეს.

თეირანი. ისპაჰანში დამშეულები აჯანყდნენ. ბრბომ საპოლიციო და სამოქალაქო სამმართველოები დაანგრია. მოჰკლეს ქალაქის სამმართველოს წევრი ჯაფარი. დაეცნენ გუბერნატორის სახლს, მაგრამ ჯარმა მოიგერია. ამ მოძრაობას, რომელშიაც კონსტიტუციის მოწინააღმდეგენი მონაწილეობენ, კლერიკალური ხასიათი აქვს, და ბახტიარებიც იღებენ მონაწილეობას. ელჩმა რუსეთის ქვეშევრდომთა უზრუნველ-ყოფა მოითხოვა.

პეკინი. გუჩკოვი ჩამოვიდა.

რ უ ს ე თ ი

პეტერბურგი. ინჟინერ[illegible] ინსპექტორი ვერნანდერი ვლადივოსტოკს გაემგზავრა.

რიგა. ფენიქსის ქარხნის ადმინისტრაციამ გაფიცულ მუშათა მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილა. მუშათა ერთი ნაწილი საქმეს შეუდგა, დანარჩენი გაფიცული მუშები დაითხოვეს.

ოდესა. „თეთრი ყვავილის“ დღე კარგად ჩაიარა. დღესასწაულში 1000 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

ხარბინი. მუკდენში მიმავალმა ჩინელმა ჯარის კაცებმა სად. განჩუნზე მოსამსახურე იაპონელებსა სცემეს. იაპონიის ელჩმა დაჭრილ-დაშავებულთა ნივთიერი დაკმაყოფილება მოითხოვა.

ომსკი. საერობო განყოფილების უფროსის თავმჯდომარეობით თათბირი გაიმართა იმის თაობაზე თუ როგორ გამოიყენონ 1910 წ. 14 ივნისის კანონი სოფლელთა ჩამონაჭრებზე გადასვლის დროს.

ოდესა. ქალაქის უფროსს და სამხედრო უწყების წარმომადგენელთა თანადასწრებით „რუსთა კავშირის“ დაბალ მოხელეების ბავშვთა პირველ ბატალიონის ბაირაღი აკურთხეს.

სპორტი

24 აპრილს ძლიერ საინტერესო ფრანგული ჭიდაობა გაიმართა. კავკასიელი მოჭიდავენი ფრანგულ ჭიდაობაშიაც იღებენ მონაწილეობას და ეს დაუსრულებელ სიცილს და ხუმრობას იწვევს. ირაკლი კახელისა და გუბერის ჭიდაობა პირველის დამარცხებით დასრულდა. შავმა ნიღაბმა და შემიაკინმა დიდხანს იბრძოლეს, მაგრამ ოცი წუთის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხეს ერთმანეთს. მილლერმა შავი სამი წუთის შემდეგ დაამარცხა. კავკასიური ჭიდაობაში ბულმა ჯიბგირი მოგვერდით მშვენივრად წააქცია. ქურხულმა კი გარე სარმით დაამარცხა ჩორნი. რუსაკოვის დათვური ზანზარი ძლიერ ამხიარულებს ხალხს; დაამარცხა შუბაშვილი თუ არა მაშინვე ლეკური დაუარა. მალიმ გულიაშვილი გადააბრუნა.

კვირას, 24 აპრილს, ტფ. პირვ. გიმნაზიის ეზოში გაიმართა საგიმნასტიკო და საფარიკაო საჯარო ვარჯიშობა. ვარჯიშობაში მონაწილეობას იღებდნენ ამავე გიმნაზიის მოსწავლენი. კარგი იყო გიმნასტიკური ვარჯიშობა, მეტადრე ხარიხაზე (ტურნიკი) და გადახტომა დიდ მაგიდაზე. ამ ვარჯიშობას, როგორც სხვებს, მოსწავლენი საკმარისი სიმარდით და სითამამით ასრულებდნენ. ბევრი სახიფათო ნომრები საზოგადოებას აშინებდა. მაგრამ, მისი ყურადღება მეტადრე წყვილ-წყვილად და დასტობით გამართულმა საფარიკაო ვარჯიშობამ მიიქცია. ძლიერ საინტერესო იყო საბოლოვო ბრძოლა, რომელშიაც ფარიკაობის მასწავლებელი და ერთი შეგირდი შეიბრძოლნენ. ბრძოლამ დიდხანს გასტანა. შეგირდი თავის ოსტატის დამარცხებას ლამობდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დაჰნებებოდა.

განცხადებანი

ქ. თელავში
ისყიდება პირველად გამოსული
ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის
● წიგნი ●
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.
ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—32)

გაფრთხილება

ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩაჩანებით, სევდის ქარით, სისხლნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქანით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელის რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება „სპერმინ-პელი“ ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უგვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისა და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელია—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

ავადმყოფებს

(8—1015—8)

(Метцль и К-о. № 1229.)

მადათოვის კუნძული სტამბა „ს ო რ ა პ ა ნ ი“

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.